

# FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი "ქართველთა მარშის" წინ

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDADTION

unag
UN Association of Georgia

## FACEBOOK-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი “ქართველთა მარშის” წინ

### შესავალი

მოძრაობა “ეროვნულების” ლიდერმა 14 ივლისს აღმაშენებლის გამზირზე “ქართველთა მარში” დაანონსა, რომელიც მათი თქმით, არალეგალი უცხოელების წინააღმდეგ არის მიმართული. მარშის ორგანიზატორები არალეგალებში კონკრეტული ეროვნების წარმომადგენლებს - ირანელებს, არაბებს, აფრიკელებს და სხვებს გულისხმობენ და მათ საქართველოს ტერიტორიების დატოვებისკენ მოუწოდებენ. ორგანიზატორები ასევე ითხოვენ საემიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას. საზოგადოების მობილიზებას ღონისძიების ორგანიზატორები სოციალური მედიის მეშვეობით ახდენენ.

მედიის განვითარების ფონდმა 2017 წლის 14 ივნისიდან 11 ივლისამდე 9 ულტრანაციონალისტური ჯგუფის ფეისბუქ გვერდის მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგის დროს დაკვირვება აღნიშნული გვერდების აქტიურობაზე, აუდიტორიის მოცვაზე, ყველაზე ხშირად გამოყენებულ წყაროებზე, ყველაზე პოპულარულ პოსტებზე, ხშირად და იშვიათად გამოყენებულ სიტყვებზე, ასევე მარშთან დაკავშირებულ მოწოდებებსა და სიძულვილის ენის შემცველ გზავნილებზე მოხდა.

მონიტორინგი მედიის განვითარების ფონდმა საქართველოს გაეროს ასოციაციასთან (UNAG) პარტნიორობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროგრამის „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა" ფარგლებში განხორციელდა.

## მონიტორინგის სუბიექტები

მონიტორინგის სუბიექტებად იმ ულტრანაციონალისტური ჯგუფების ფეისბუქ გვერდები შეირჩა, რომლებიც სოციალურ მედიაში "ქართველთა მარშს" აქტიურად აანონსებდნენ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ამ გვერდების აუდიტორიას ასახავს, გვერდების მოწონების რაოდენობის მიხედვით[1].

**დიაგრამა 1.** 9 ფეისბუქ გვერდის აუდიტორია გვერდების მოწონებების მიხედვით




[1] ბოლო წვდომა: 2017 წლის 11 ივლისი




## მედია წყაროები

“წინააღმდეგობა მომავლისთვის” ფეისბუქ გვერდის გარდა, სხვა გვერდები ყველაზე ხშირად სხვადასხვა ონლაინ გამოცემების მასალებს აზიარებენ. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს იმ ონლაინ მედია საშუალებებს, რომლებსაც მონიტორინგის სუბიექტები ყველაზე ხშირად იყენებდნენ ინფორმაციის წყაროდ. აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში “ქართულმა იდეამ” რუსეთის მთავრობის მიერ დაფუძნებული პროპაგანდისტული მედიის, Russia Today-ს მასალა გააზიარა. რამდენიმე ტრადიციული მედიის გარდა (imedi.ge, resonancedaily.com, ambebi.ge), აქ ხვდება ისეთი გამოცემები, რომლებიც სიძულვილის ენის ტირაჟირებით გამოირჩევიან (alia.ge, marshalpress.ge), ასევე სიძულვილის ენის ტირაჟირებასთან ერთად, ღიად პრორუსული კავშირები აქვთ (geworld.ge, patrioti-tv, tb24.ge).

**დიაგრამა 2.** 9 ფეისბუქ გვერდზე ყველაზე ხშირად გაზიარებული ონლაინ გამოცემები (14 ივნისი - 11 ივლისი, 2017).



## აქტივობის დინამიკა

ქვემოთ მოცემული დიაგრამა საანგარიშო პერიოდში სამონიტორინგო სუბიექტების აქტივობის დინამიკას ასახავს. როგორც მონაცემებიდაან ჩანს, ამ პერიოდში ყველაზე აქტიური "ანტი-პარადოქსი" და "ქართული იდეა" იყო, ხოლო ბოლო დღეებში "ქართული ძალაც" გააქტიურდა.

დიაგრამა 3. 9 ფეისბუქ გვერდის აქტივობა (14 ივნისი - 11 ივლისი, 2017).




აღნიშნულ გვერდებზე მეტწილად ვიდეო მასალის, სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემების ფრაგმენტების, ასევე სხვადასხვა ონლაინ გამოცემების პუბლიკაციების გაზიარება ხდება. ამ გვერდებზე ხშირია ქსენოფობიური, რასისტული პოსტები და მოწოდებები იმის შესახებ, რომ საქართველოს "გაწმენდა" არაქართველებისგან ყველა პატრიოტის მოვალეობაა. ქვემოთ გამოვყავით ის 4 ფეისბუქ გვერდი, რომელთაც ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავთ და სოციალურ ქსელებში ყველაზე მეტი აქტიურობითაც გამოირჩევიან. ეს გვერდებია: ქართული იდეა, ანტიპარადოქსი, Iveroni, ნაციონალისტური ლეგიონი.

## პოპულარული პოსტები

ქართული იდეის 6 ყველაზე პოპულარული პოსტიდან პირველი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის კათოლიკოსობის წინასწარმეტყველებას შეეხება, შემდეგი სათაურით “ქრისტეში გაერთიანებულ ერს ვერაფერი დაამარცხებს!!!” 17 მაისს “ოჯახის სიწმინდის დღესთან” დაკავშირებულ მსვლელობას, მონარქიის აღდგენას, მიწის გასხვისების უცხოელებზე შეზღუდვას, ასევე ჰომოფობიურ შეფასებებს.

| Picture | Post | Likes | Comments | Shares |
|---|---|---|---|---|
|  | წმინდა კუკშამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩვენს მომავალ პატრიარქს, სემინარიის სტუდენტს უწინასწარმეტყველა, რომ ეს გახდება საქართველოს პატრიარქი და ერთ-ერთი ღირსეული პატრაირქი იქნებაო, ვინც გაყვება მას, გადარჩება, ვინც დაუპირისპირდება - წარწყმდებაო. | 785 | 34 | 381 |
|  | ქრისტეში გაერთიანებულ ერს ვერავინ დაამარცხებს!!! | 505 | 22 | 369 |
|  | "მონარქიის არსებობა არის ტერიტორიული მთლიანობის ყველაზე მყარი გარანტი...აფხაზეთის მიწა-წყალი იყო და არის ბაგრატიონთა დინასტიის ლეგიტიმური ტერიტორია" | 286 | 32 | 153 |
|  | "მიუხედავად იმისა, რომ მე ირანის მოქალაქეც ვარ... მიწა ეკუთვნის ერს! ეს მიწა ათასწლეულების მანძილზე ქართველების სისხლითაა შენახული. ამ მიწის გაყიდვა არ შეიძლება!" - ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი მიწის გაყიდვის საკითხზე "პანორამაში" | 238 | 31 | 229 |
|  | აღმაშენებლის გამზირზე არსებული მდგომარეობის გამო "ქართული იდეა"-ს საპროტესტო მსვლელობა... 2017 წ. 17 მაისი | 222 | 29 | 318 |
|  | გადაეცით ლგბტ-შემწყნარებლების ტირანებს, ამ ჰომოსექსუალურ მაღიას, ჰომოფაშისტებს, ცისარტყელის რადიკალებს, რომ თქვენ არ მიიღებთ მათ ანტირელიგიურ და ანტიცივილიზაციურ პროპაგანდას თქვენს ქვეყანაში! სან-ფრანცისკოელი მოძღვარი, ციტატა ფილარმონიაში წაკითხული სიტყვიდან | 179 | 14 | 101 |

ანტი-პარადოქსის ყველაზე პოპულარული პოსტი შეეხებოდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ქართველი ჯარისკაცები ქართულ მარშს უერთდებოდნენ, შემდეგი იყო ფოტო, წარწერით “შენც უცხოდ გრძნობ თავს საქართველოში?”, ქართველთა მარშთან დაკავშირებით გაზიარებული ლექსი „უცხოტომელებზე”, ინფორმაცია “ზესტაფონში ჯვარზე მიშარდვისთვის ირანის მოქალაქე სცემეს”.

| Picture | Post | Likes | Comments | Shares |
|---|---|---|---|---|
|  | ქართველი ჯარისკაცები უერთდებიან ქართველთა მარშს <3 | 199 | 14 | 11 |
|  | “შენც უცხოდ გრძნობ თავს საქართველოში?” | 195 | 2 | 29 |
|  | ლექსი „უცხოტომელებზე" | 154 | 6 | 73 |
|  | ზესტაფონში ჯვარზე მიშარდვისთვის ირანის მოქალაქე სცემეს | 85 | 18 | 37 |

Iveroni-ს ყველაზე პოპულარული პოსტი ბოლშევიზმის წინააღმდეგ აჯანყებულთა ფოტოა, რომელზეც ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, სპირიდონ ჭიჭინაძე, ლეო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფაელ ერისთავი და ალექსანდრე სულხანიშვილია გამოსახული. პოპულარულ პოსტებს შორის არის ასევე მასალა ქართული ენის დიალექტების შესახებ, პარტია “გირჩის” წევრის იაგო ხვიჩიას წინააღმდეგ, სიძულვილის ენის შემცველი ანტიპარადოქსის მასალა “ლგბტ აქციის დაშლა თურქეთში - ვისაც გინდათ, რომ საქართველოშიც მოხდეს იგივე, გააზიარეთ”. პოპულარულ პოსტებს შორისაა ასევე მასალა ფემინიზმის წინააღმდეგ.

| Picture | Post | Likes | Comments | Shares |
|---|---|---|---|---|
|  | ბოლშევიზმის წინააღმდეგ აჯანყებულთა ფოტო | 75 | 2 | 19 |
|  | ქართული ენის "უშნო" დიალექტები. თანამედროვე ქართული ენა. უცხო ენები. | 25 | 1 | 15 |
|  | პარტია "გირჩის" წევრის იაგო ხვიჩიას რეაქცია საკუთარ ქვეყანაზე და ერზე. | 19 | 16 | 72 |
|  | ანტი-პარადოქსი - ლგბტ აქციის დაშლა თურქეთში ^_^ ვისაც გინდათ, რომ საქართველოშიც მოხდეს იგივე, გააზიარეთ <3 | 18 | 0 | 0 |
|  | ფემინიზმი. ბაია პატარაია. მაგდა ანიკაშვილის ლოგიკა | 17 | 0 | 9 |

ნაციონალისტური ლეგიონის ყველაზე პოპულარული პოსტი ქართველი ფეხბურთელის ტატუს, აფხაზეთის ომში გარდაცვლილთა ხსოვნას, ასევე ქართველთა მარშს და ლიბერალიზმის გარდაუვალ მარცხს შეეხება.

| Picture | Post | Likes | Comments | Shares |
|---|---|---|---|---|
|  | ქართველი ფეხბურთელის, გიორგი არაბიძის ტატუ! | 304 | 14 | 124 |
|  | 2 ივლისი აფხაზეთის ომში გარდაცვლილი გმირების ხსოვნის დღეა... სამარადისო დიდება ქართველ გმირებს! | 107 | 1 | 69 |
|  | "ყველა არალეგალმა უცხოელმა დატოვოს საქართველოს ტერიტორია!" - "ქართველთა მარში" აღმაშენებლის გამზირზე გაიმართება | 94 | 10 | 41 |
|  | მე-20-ე საუკუნეში მსოფლიომ დაამარცხა ფაშიზმი, დაამარცხა კომუნიზმი, ახლა 21-ე საუკუნეა და დროა დავამარცხოთ ლიბერალიზმი!<br>არ ვიცი რა იარაღი იქნება გამოყენებული მესამე მსოფლიო ომში, მაგრამ ცხადია რომ მეოთხეში მხოლოდ ჯოხები და ქვები იქნება. | 94 | 2 | 31 |
|  | ეს ხდება საქართველოში! რას ფიქრობთ?! ისევ უმოქმედობის დროა?! 14 ივლისს აღმაშენებელზე! | 45 | 21 | 42 |

## სიტყვების გამოყენების სიხშირე

ქვემოთ მოცემული ცხრილები იმ სიტყვებს ასახავს, რომელთაც 4 ფეისბუქ გვერდზე ყველაზე ხშირად და ყველაზე და ყველაზე ნაკლებად იყენებდნენ.

### ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები

| ქართული იდეა | ანტი-პარადოქსი | Iveroni | ნაციონალისტური ლეგიონი |
|---|---|---|---|
| სამეფო, სახელმწიფო, მონარქიის, მეფე, წმინდა, საქართველოს, კონსტიტუციური | ჰორი, ჰორის, ფილმი | რეაქცია, ტრანსგედერმა, ფემინისტურ-ლიბერასტული, რუსეთის, ერზე, რუსული აჯანყების, პიდარასტი, ქვეყანაზე, ქართული, Как | ლიბერალიზმი, ომის, საქართველო, აღმაშენებელზე, ივლისს, ომში, გმირი |

### ნაკლებად გამოყენებული სიტყვები

| ქართული იდეა | ანტიპარადოქსი | Iveroni | ნაციონალისტური ლეგიონი |
|---|---|---|---|
| ქართული, ერის, ღირსეული, ხალხის, ღვთის | ანტილიბერალური, ქრისტეს, საინფორმაციო, ფეისბუქ, იესო, ალტ-ინფო | ბაია პატარაია, გერმანია, მაგდა ანიკაშვილის | ქვეყანა, ჩვენ, ქართველები, გამსახურდია |

## “ქართველთა მარშთან” დაკავშირებული მოწოდებები

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ გვერდები 14 ივლისს დაგეგმილ “ქართველთა მარშში” მონაწილეობის მისაღებად საზოგადოების მობილიზებას ნეოფაშისტური, რასისტული და ქსენოფობიური მოწოდებებით ახდენდნენ. ამ მოწოდებათა შინაარსი აგრესიის, სიძულვილის გაღვივებას ემსახურება. “ქართველთა მარში” წარმოდგენილია, როგორც ერის გადარჩენისთვის ბროლის გზა საქართველოში არსებული “არალეგალებისა” და ქართული სისხლის უცხოურთან აღრევის წინააღმდეგ.

> **ანტიპარადოქსი/ წინააღმდეგობა მომავლისთვის[2]:** “ომში სასწორზე სიცოცხლეს დებენ… დღევანდელ, კულტურულ ომში, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი სამშობლოს მხარეს დადგებით, სასწორზე დებთ რეპუტაციას, რომელსაც მედია და მისი ტყუილებით გაბრუებულები გათელავენ. ვისაც შეუძლია სამშობლოს გულისთვის სიცოცხლე გაწიროს, იდიოტებში რეპუტაციის დაკარგვასაც არ შეუშინდება და თუ შესაძლებლობა აქვს, შეუერთდება ქართველთა მარშს!”
>
> **წინააღმდეგობა მომავლისთვის[3]:** 14 ივლისამდე ულტიმატუმი რომ ყველა არალეგალმა უცხოელმა (ირანელები,არაბები,აფრიკელები და ა.შ.) დატოვოს საქართველოს ტერიტორია!!! ეს არის ჩვენი პასუხი იმაზე, რომ 51 წლის ირანელმა ქართველი ბავშვები (ბიჭები) გააუპატიურა!!! ჩვენ გავწმინდავთ ჩვენს ქუჩებს უცხოელი კრიმინალებისგან!!! ქართული საქართველოსთვის!!!”
>
> **ნაციონალისტური ლეგიონი[4]:** “დროა! დროა ძლევაი საკვირველისა, დროა ყველამ გაიგოს ვინ არიან ქართველები, ვინ არიან ის ქართველები, რომელიც წლების მანძილზე ჩუმათ იყვნენ, დროა ავღსდგეთ და ვანახოთ მტერს თუ რა არის საქართველო! ვინ არიან ქართველები!”
>
> **ნაციონალისტური ლეგიონი[5]:** “დავუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ დავითის ქვეყანა ვართ, ჩვენ თამარის ქვეყანა ვარ, ჩვენ მაზნიაშვილის, კვინიტაძის, ამბროსი ხელაიას

---

[2] ანტიპარადოქსი. 7 ივლისი, 2017. https://www.facebook.com/AntiParadox/ ბოლო წვდომა 13 ივლისი, 2017
[3] წინააღმდეგობა მომავლისთვის, 30 ივნისი, 2017. https://www.facebook.com/ResistanceForFuture/
[4] ნაციონალისტური ლეგიონი, 11 ივლისი, 2017. https://www.facebook.com/307580206299884/posts/545949279129641 ბოლო წვდომა 13 ივლისი, 2017
[5] ნაციონალისტური ლეგიონი, 11 ივლისი, 2017. https://www.facebook.com/307580206299884/posts/545857239138845

და ზვიად გამსახურდია ქვეყანა ვართ! ჩვენ ქართველები ვართ და ქართული სისხლი ჩქეფს ჩვენს ძარღვებში!"

Iveron-ი[6]: "ჩამოდიან მესამე დონის ქვეყნების წარმომადგენლები და არა ევროპელები და არა სერბები, ალბანელები ბერძნები, ჩამოდიან საერთოდ სხვა რასის ადამიანები, რომლებთან ჩვენი სისხლის შერევა საერთოდ კარასტოფიულია, მაგრამ საიდან ესმის ქართველ ქალებს ეს, ქართველ ლიბერასტ მამაკაცებს … приходите все на Грузински марш и устроим тотальны адски пиздец!"

ედელვაისი[7]: "ნუ ელოდები სასწაულს. იგრძენი ძალა შენს მკლავებში, ამოისუნთქე ღრმად და გადახედე მშობლიურ ადგილებს. შენ ჯანღონით სავსე ახალგაზრდა ხარ, შენს სხეულში შენი წინაპრების სისხლი ჩქეფს. ამაზე მეტი სასწაული არ გჭირდება, გაიაზრე რა არის ერის სიყვარული, გააღვივე შენში აგრესია და ბრძოლისთვის მოემზადე!".

ედელვაისი[8]: "და მე გეკითხებით, ზვიადისა და მერაბის ერო! ვისია საქართველო?! ვინ ზიდა მხრებით ეს სისხლით გაჟრენთილი მიწა?! არაბებმა?.. იქნებ თურქებმა?.. ეს მიწა,ეს ქვეყანა ქართველებისაა და ნუ მისცემთ ნებას უცხო ერები გაბატონდნენ ჩვენზე! 14 ივლისს, აღმაშენებელის გამზირზე ბრძოლის ყიჟინასავით გაიგებენ ჩვენს მოძახილს, თეთრი გიორგი ჩვენთან იქნება!"

---

[6] https://www.facebook.com/iveroncorp/

[7] ედელვაისი, 5 ივლისი, 2017. https://www.facebook.com/IBERIANAwakening/photos/a.1416823115045615.1073741828.1416778275050099/1486748058053120/?type=3&theater

[8] ედელვაისი, 2 ივლისი, 2017. https://www.facebook.com/IBERIANAwakening/photos/a.1416823115045615.1073741828.1416778275050099/1483771211684138/?type=3

## სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები

მარშში მონაწილეობის მოწოდებების გარდა, აღნიშნულ გვერდებზე ნეოფაშისტური, სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები კეთდებოდა და ასეთივე შინაარსის ვიდეო მასალები ვრცელდებოდა. ძირითადად გვხვდებოდა თურქოფობიული, ასევე ჰომოფობიური შინაარსის მასალები.

ცალკეული მაგალითები:

> **მამუკა არეშიძე, ექსპერტი, ანტიპარადიქსი[9]:** იყიდება ბათუმი. ფასი: შეთანხმებით. „ბათუმში, ქუთაისის ქუჩაზე რაც ხდება, ჩემთვის სრულიად მიუღებელია. ეს ქუჩა, ფაქტობრივად, მოსწყდა ქალაქს, იქ არაფერი ქართული აღარ არის... თბილისიდან კარგად არ ჩანს, რა ხდება ბათუმში, მაგრამ კარგად ჩანს, რა ხდება აღმაშენებლის გამზირზე. არ შეიძლება, ეს ქუჩა ნელ-ნელა იქცეს ჩამოსულთა რაიონად. მე ვიცი ასეთი რაიონები ბრიუსელში, პარიზში, ბერლინში, სადაც დღეს შესვლას ვერც სამართალდამცავები და ვერც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ახერხებს. აი, ამას ვგულისხმობ უკონტროლობაში".
>
> **ქართული იდეა[10]:** "მტკიცედ დადექით თქვენს რწმენაში ლგბტ რევოლუციის წინააღმდეგ. არ დანებდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ქალაქი სან-ფრანცისკოს დაემსგავსება, სადაც ძაღლების რაოდენობა ბავშვებისას 80 000-ით აღემატება. გადაეცით ლგბტ-შემწყნარებლების ტირანებს, ამ ჰომოსექსუალურ მაღიას, ჰომოფაშისტებს, ცისარტყელის რადიკალებს, რომ თქვენ არ მიიღებთ მათ რომ თქვენ არ მიიღებთ მათ ანტირელიგიურ და ანტიცივილიზაციურ პროპაგანდას თქვენს ქვეყანაში და დაე ღმერთმა დაიცვას თქვენი ქვეყნები ამისაგან!"

[9] ანტიპარადოქსი, 11 ივლისი, 2017.
https://www.facebook.com/AntiParadox/posts/453136635050996:0?hc_location=ufi

[10] ქართული იდეა, 1 ივლისი, 2017.
https://www.facebook.com/1442080826006745/photos/a.1442345615980266.1073741828.1442080826006745/1919213754960114/?type=3&theater

## ქართული იდეის შესახებ

საჯარო რეესტრის მონაცემებით, საზოგადოებრივი მოძრაობა ქართული იდეა არასამეწარმეო იურიდიულ პირად, ლევან ჩაჩუას განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 21 თებერვალს დარეგისტრირდა. ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირების ჩამონათვალში მოძრაობის თავმჯდომარედ მითითებულია ლევან ჩაჩუა, მთავარი კომიტეტის ერთ-ერთ წევრად „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ის" წარმომადგენელი გურამ ფალავანდიშვილი. 2014 წლის 31 მარტს, ლევან ჩაჩუას განცხადების საფუძველზე საჯარო რეესტრმა სუბიექტს რეგისტრაცია გააუქმა.

2014 წლის 16 დეკემბერს, ახალი პოლიტიკური პარტია ქართული იდეის დაარსების შესახებ პარტიის თავმჯდომარე ლევან ჩაჩუამ „რია-ნოვოსტის" თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პარტია მონაწილეობას იღებდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ცესკოსთვის წარდგენილ პარტიულ სიაში, ქართული იდეის პირველ ნომრად ლევან ჩაჩუა, ხოლო მეორე ნომრად ალექსანდრე ბრეგაძეა დასახელებული, რომელიც საბურთალოს მეექვსე მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში იყო წარდგენილი კანდიდატად. ლევან ჩაჩუა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი იყო და 2010 წელს ტელეკომპანია "კავკასიაში" ექსტრემისტული ქმედებების გამო დააკავეს, როდესაც ის და მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებთან ერთად პირდაპირ ეთერში სტუდიაში შეიჭრა, სადაც ფიზიკურ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. თბილისის საქალაქო სასამართლომ მას სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილის (ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა) და 239 მუხლის მე-2 ნაწილის (ხულიგნობა) დარღვევისთვის 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2012 წელს ახლადარჩეულმა პარლამენტმა ლევან ჩაჩუა პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა. 2013 წელს ის საპრეზიდენტო არჩევნებში იღებდა მონაწილეობას. ამჟამად ლევან ჩაჩუა ქართული იდეის თავმჯდომარე და ხარისხის არხზე გადაცემა „დასაბამიდან სასუფევლამდე" ერთ-ერთი წამყვანია.

ქართული იდეის ფეისბუქ გვერდზე, სექციაში *ჩვენს შესახებ* მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ქართული იდეის ერთ-ერთ მიზნად მითითებულია ქვეყნის დეოკუპაციის

მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება. მოძრაობა ხშირად მართავს სხვადასხვა დემონსტრაციებს და გამოირჩევა ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებებით. ქართული იდეის ფეისბუქ-გვერდზე ხშირად ვრცელდება ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, დავით კარტოზიას ვიდეო-მიმართვები. დავით კარტოზია ამერიკაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტია, რომელმაც ლობისტური კომპანია American Strategic Partners - დააარსა. ის ასევე პერიოდულად ერთვება ხარისხის არხზე ლევან ჩაჩუასთან გადაცემაში „დასაბამიდან სასუფევლამდე“.

## ანტიპარადოქსის შესახებ

ფეისბუქ გვერდი ანტიპარადოქსი ხშირად აზიარებს ქსენოფობიურ, ჰომოფობიურ და რასისტულ კონტენტს, ასევე მანიპულაციურ ფოტოებს და ვიდეოებს, რომლებიც ანტიდასავლური პროპაგანდის ნაწილია. გვერდის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მითითებულია „უნგრეთის პრემიერის ანტილიბერალური პოლიტიკის მხარდამჭერი აქცია“, რომელიც 2017 წლის 21 აპრილს თბილისში სასტუმრო ქორთიარდ მერიოტის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიქტორ ორბანის პოლიტიკის გასაპროტესტებლად გამართული აქციის პარალელურად გაიმართა.

## Iveron -ის და ნაციონალისტური ლეგიონის შესახებ

ფეისბუქ გვერდი Iveron 2012 წლიდან არსებობს. ფეისბუქ გვერდი ნაციონალისტური ლეგიონი ძირითადად ქსენოფობიური შინაარსის მასალებს ავრცელებს. გვერდზე განთავსებულ ერთ-ერთ ვიდეოში მითითებულია, რომ ნაციონალისტური ლეგიონი ქართველი ნაციონალისტები არიან, რომლებიც არ ეგუებიან „რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროშის ფრიალს“.

## რუსული მარში

„რუსული მარში“ რუსული ნაციონალისტური ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერების მიერ ორგანიზებული აქციაა, რომელიც 2005 წლიდან ყოველწლიურად 4 ნოემბერს -

ეროვნული ერთიანობის დღეს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ქალაქებში იმართება და ხშირად ძალადობით სრულდება.

„რუსული მარშის“ ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად, რუსული მარშის პოლიტიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ რუსები უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მათ საკუთარი ეროვნული მთავრობა არ ჰყავთ, არ ხდება მათი ინტერესების გათვალისწინება, ეჭვქვეშ დგას რუსი ხალხის არსებობა და უფლებები და არ იცვლება მიგრაციის პოლიტიკა. მათ აქციებზე ნეოფაშისტური განცხადებები კეთდება და ისმის მოწოდებები “არალეგალი მიგრანტებისგან ქვეყნის გაწმენდის” შესახებ.